პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მხედარი

ფასი 3 კაპ.

პარასკევი, 23 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

88 (1083) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 88 (1083)

## სამხკორო, ემზადე თათბირისათვის!

სანამ ჯერ კიდევ ჩვენი ჯარის ნაწილები არ გასულან საბანაკოთ, მანამდი განზრახულია სხვა მრავალ კამპანიების ჩატარებასთან ერთად,—ჩატარებული იქნეს ერთი ფრიად საჭირო და აუცილებელი კამპანია: ჩვენი გაზეთის სამხკორთა თათბირის მოწყობის სახით.

მაშასადამე, ეს თათბირი უნდა მოეწყოს 15 მაისამდი და მანამდი კი საჭიროა, რომ ჩვენი სამხკორები ამ თავითვე მოემზადონ ამ თათბირში მონაწილეობის მისაღებათ. მაგრამ ამ თათბირის მიერ განსახილველი საკითხების აღნიშვნამდი ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ერთი რამ:

ჩვენი გაზეთი უპირველეს ყოვლისა გამოხატავს რა ჩვენი წითელი ჯარის სულისკვეთებას და ცხოვრებას, ამავ დროს იგი მისწრაფის იმისაკენ, რომ ჩვენ წითელ არმიელს მიაწოდოს სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე სათანადო ცნობები. მაგრამ რაც მთავარია იგი იძლევა ყოველ წითელარმიელში როგვარ მხედრულ სულისკვეთების გაღვივების და გაძლიერების საშუალებას. რასაკვირველია, თუ სამხედრო გაზეთი არ ემსახურება და სათანადოთ ცხოვრებაში ვერ ატარებს ამ აზრს, მაშინ მისი ღირებულება დიდი არ იქნება.

და აი სწორეთ, ჩვენი სამხკორთა თათბირმა უნდა გამოარკვიოს ის, თუ რამდენათ ჩვენი გაზეთი ამ პირობას აკმაყოფილებს და რამდენათ იგი ახორციელებს ცხოვრებაში გარდა წითელარმიელთა სულისკვეთების, აგრეთვე განსაკუთრებით ჩვენი მოსახლეობის სულისკვეთების გასამხედროებას. რომ ასეთი მხედრული სულისკვეთების გაღვივება და გაძლიერება აუცილებლათ საჭიროა გარდა წითელარმიელთა შორის, აგრეთვე თვით მოსახლეობის შორის, ამას რასაკვირველია დიდი მტკიცება არ უნდა.

მომავალ დიდი ომებისათვის, მაშინ როდესაც ჩვენი მშრომელთა მასას, თავის ღვიძლ შვილ, წითელ ჯართან ერთად, მოუხდება სასტიკი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, აი სწორედ მაშინ არის საჭირო ის, რომ ჩვენმა მებრძოლმა ძალებმა გამოიჩინონ დიდი მხედრული, რკინისებური, შეუდრეკი სულისკვეთება და მაშინ ცხადია, რომ გამარჯვებაც ჩვენს მხარეზე იქნება.

ამ თვალსაზრისით კი საჭიროა, რომ ამთავითვე მიმდინარეობდეს მებრძოლებში, მხედრული სულისკვეთების გაძლიერება. ერთად ერთი საშუალება და ხერხი ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ არის სამხედრო ხასიათის გაზეთების არსებობა.

ამიტომ კერძოთ ჩვენი გაზეთი, თუ რამდენათ ამ მიზანს ცხოვრებაში ახორციელებს საჭიროა ამის თათბირზე განხილვა და სათანადოთ შეფასება.

ამიტომ კი ჩვენმა სამხკორებმა უნდა ამთავითვე მოამზადონ მასალები, შენიშვნები ჩვენი გაზეთის შესახებ და ამ გზით თათბირმა უნდა აღნიშნოს, როგორც დადებითი მხარეები, ისე განსაკუთრებით უარყოფითი მხარეები ჩვენი გაზეთის და ამ გზით უნდა შემუშავებულ იქნას საშუალებანი ამ უარყოფითი მხარეების ძლიერ აღმოფხვრელათ.

## კომკავშირის მუშაობა და წითელი მეთაურები.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები უდიდეს ყურადღებას აქცევენ მუშურ-გლეხურ წითელ მეთაურთა შემადგენლობის შექმნის და აღზრდის საქმეს.

სკოლებში, სადაც იზრდებიან და სწავლობენ მეთაურები ცდილობენ მათ იმდენ ცოდნას, რომ მათ შეეძლოთ აწარმოონ სხვა და სხვა სახის მუშაობა წ. არმიელთა მასაში, სინამდვილეში წითელ მეთაურს ჩვენ ვხედავთ როგორც—პოლიტ მუშაკს (ჯგუფის ხელმძღვანელი) იგი აწარმოებს აღმზრდელობით მუშაობასაც—როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე დროებში. მე მსურს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, თუ რას აკეთებენ კომკავშირის წევრები (მეთაურები) კომკავშირის დამხმარე ჯგუფებში და რაში გამოიხატება მათი აქტიურობა ამ მუშაობაში.

წითელ მეთაურების (კომკავშირლების) მუშაობა უმთავრეს შემთხვევაში, გამოიხატება კრებაზე დასწრებაში, მოხსენების გაკეთებაში ჯგუფის კრებაზე, ისიც იშვიათად. არის შემთხვევები, როცა კომკავშირის ორგანიზატორს არა ყავს აღრიცხვაზე აყვანილი კომკავშირის წევრი მეთაური.

ხშირად მეთაური წესიერად არ ასრულებს დავალებას და არ აქცევს შესაფერ ყურადღებას კომკავშირის მუშაობას.

მუშაობის სირთულე და სიძნელე, საქმეების შესრულება აქტივის და გამოცდილ ხელმძღვანელების გარეშე შეუძლებელია და ამიტომ ჩვენი კომკავშირის ორგანიზაცია მეტს მოითხოვს მათგან, ვიდრე დღეს აკეთებენ კომკავშირში. იმის თქმა, რომ აქტიურობა წითელი მეთაურის კომკავშირში არ არისო, ეს იქნებოდა სინამდვილის გვერდის ახვევა, მაგრამ არიან ისეთი მეთაურები, რომლებიც ვერ აფასებენ მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს და ვერ იჩენენ უნარიანობას.

საჭიროა თვითეულმა ნათლად შეიგნოს და გაერკვეს მოვალეობაში და ყოველგვარი ხელმძღვანელობა გაუწიოს კომკავშირის დამხმარე ჯგუფს.

ტ. მამალაძე.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის მილიტარისტების ხრიკები

მოგვყავს ნაწყვეტი უ-პეი-ფუს წერილიდან ჩან-ძო-ლინისადმი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენი მიზანია გავანადგუროთ წითლები, მაშასადამე—გავანადგუროთ სახალხო არმია. ფინ-იუი-სიანი მოღალატეა და ახლო კავშირი აქვს ბოლშევიკებთან. ხმები, რომ თითქოს მე ვთანამშრომლობდე სახალხო არმიასთან, არაა სიმართლე".

ამ წერილიდან ცხადია: უ-პეი-ფუს სურდა ერთის მხრივ შეექმნა სახალხო არმიის სარდლობისთვის ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის დაეხმარებოდა მათ, ხოლო მეორეს მხრივ—კავშირს აბამდა ჩან ძო-ლინთან.

საერთო აზრით, ჩან-ძო-ლინმა აჯობა ეშმაკობაში უ-პეი-ფუს და ამჟამად ტიან-ცზინში წარმოებულ მოლაპარაკებაში უმეტესობა მუკდენის ჯარების მხარეზეა.

## პეკინი უმთავრობოდ

პეკინის მმართველი დუან-ცზი-ჩჟუი პეკინიდან ტიან-ცზინში გაემგზავრა.

ჩინეთის წრეებში ფიქრობენ, რომ უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინს შორის შეთანხმების გამო დუან-ცზი-ჩჟუი არ იქნება სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში.

ამჟამად პეკინში არავითარი მთავრობა არ არსებობს.

## ბრძოლა დამასკში.

ინგლისის გაზეთების დამასკელ კორესპონდენტების ცნობით, ფრანგების მიერ ქალაქის შუა გულში აგებულ ბარიკადებზე ყოველდღე სწარმოებს ბრძოლა.

ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ აჯანყებულები მოუახლოვდა ბარიკადებსო, რამაც გამოიწვია ტყვიამფრქვევების სროლა ქუჩების გასწვრივ. ამ სროლის შედეგად მოკლულ იქნა ბევრი შემთხვევითი მგზავრი.

## მუშებმა გაიმარჯვეს.

### საბჭოთა ფეიქრებს მადლობას უძღვნიან დახმარებისთვის.

ფორტემასში (საფრანგეთში) გაიმარჯვა საქსოვ ფაბრიკების მუშათა გაფიცვებმა. მუშებს მოუმატეს დღიურ ხელფასზე 5 ფრანკი.

საფრანგეთის ფეიქრები განსაკუთრებული დეპეშით მადლობას უძღვნიან საბჭოთა ფეიქართა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს იმ ნივთიერი დახმარებისთვის, რომელიც გაუწიეს მათ გაფიცვების დროს.

## პოლონეთის ძველი მთავრობა ისევ რჩება.

პოლონეთის პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ არ მიიღო სკშინსკის გადადგომა. ძველი მთავრობა ისევ რჩება ძალაუფლების სათავეში.

## ჩინ. აღმოსავლ. რკ. გზის ახალი გამგე.

ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ახალი გამგე ეშმანოვი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

ჩინელები კმაყოფილებით შეხვდენ რკინისგზის გამგის გამოცვლას.

ყოფილი გამგე ივანოვი ბრუნდება მოსკოვში.

## ფუნტიკოვის გასამართლება

### მეხუთე სხდომა

ესერების მიერ მოწვეულ ინგლისელები ბაქოს მშრომელთა დასამონავებლად.

ინგლისელებმა ბაქოს მუშებს არ მისცეს დანაპირები სურსათ სანოვაგე, ხოლო თვითონ კი, რაც მოასწრეს ყველაფერი გაიტანეს.

ფუნტიკოვი ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი იყო ბაქოში მომხდარ დახვრეტებში.

### მოწმეების ჩვენება.

მოწმე ხრაბროვი განაგრძობს თავის ჩვენებას. ის აღნიშნავს, რომ მემანქანე შჩეგოლიუტინი, რომელსაც მიჰყავდა კომისართა მატარებელი დასახვრეტ ადგილზე, დანიშნული იყო თვით ფუნტიკოვის მიერ. დახვრეტის შემდეგ მემანქანე შჩეგოლიუტინი დანიშნულ იქნა სადგურის კომენდანტის თანაშემწედ.

### ინგლისელების ხრიკები

ფუნტიკოვის დაპატიმრება განგებ იყო მოწყობილი ინგლისელების მიერ, რათა ასხაბადის მუშებისთვის თვალი აეხვიათ.

შემდეგ მოწმე აღნიშნავს, რომ ინგლისელები მოვიდენ ესერების—ფუნტიკოვის, დორერის, დრუჟკინის, ზაზკოვსკისა და სხვების მოწვევით დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე.

ინგლისელების მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ მივალთ ტაშკენტამდი, განვდევნით ბოლშევიკებს და მივცემთ მოსახლეობას სურსათსა და პურს".

მაგრამ მათ არაფერი მოუციათ და თვითონ კი ყველაფერი გაიტანეს.

ფუნტიკოვი შეკითხვებზე იბნევა და გარკვეულ ახსნას ვერ აძლევს სასამართლოს.

### ფუნტიკოვი ჯალათი.

მოწმე პანკინი აცხადებს, რომ ფუნტიკოვი მთავარი მოთავე იყო ასხაბადის 9 კომისრის დახვრეტაში. ამას გარდა ინგლისის სარდლობას არ შეეძლო დაეხვრიტა ბაქოს 26 კომისარი ისე, რომ ადგილობრივ ხელისუფლების მეთაურს ფუნტიკოვს არ სცოდნოდა რაიმე და მონაწილეობა არ მიეღო შიგ. პირიქით—ფუნტიკოვი ენერგიულ განკარგულებებს იძლეოდა ამ საქმეში.

დანარჩენი მოწმეებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ფუნტიკოვი ხელმძღვანელის როლს თამაშობდა დახვრეტაში და რომ ინგლისელებმა ის განგებ დააპატიმრეს, რათა ხალხისთვის თვალი აეხვიათო.

## საბჭოთა კავშირი მილანის გამოფენაზე.

მილანის საერთაშორისო გამოფენაზე დიდ ყურადღებას იქცევს საბჭოთა კავშირის სამეურნეო საგამოფენო ნიმუშები. საბჭოთა პავილიონში მოდის ყოველდღიურად 40.000-დი მნახველი.

# საქართველოში.

## დახმარება ინვალიდებს

ამჟამად გორის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში აღრიცხვაზეა 1.007 კაცი, ამათ შორის შრომის ინვალიდები ოთხას ექვსია, იმპერიალისტურ ომის—600, სამოქალაქო—1 კაცი.

## თესვა დაიწყო

მთელ ქუთაისის მაზრაში დაწყებულია თესვა. ითესება სიმინდი და ლობიო. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა ბაღებსა და ბოსტნებში.

ამინდი ჯერჯერობით ხელს უწყობს საგაზაფხულო მუშაობას.

## საჩვენებელი მინდორი

სოფელ იანეთში (სამტრედიის მაზრა) დამთავრდა საჩვენებელ მინდვრის ხვნა.

მინდორი დაყოფილია სამ უბნად და დათესილ უნდა იქნას სიმინდი, ბამბა და სხვა.

# საკავშირო ცაკის მეორე სესია

## საგადასახადო ცვლილებები

### ფინანსთა სახ. კომისრის ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არსებულ სისტემას მთელი რიგი არსებითი ნაკლი აქვს; ის ვერ ნაწილდება სათანადოთ გლეხთა მეურნეობებს შორის, გადასახადი რამოდენიმედ მძიმედ აწევს მცირე შეძლების გლეხებს და სხვა.

სახალხო კომისართა საბჭომ დასახა შემდეგი ცვლილებები შეიტანოს გადასახადის შესახებ: გადასახადის გაწერის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მარტო სამიწადმოქმედო შემოსავალი. ტარიფების 97 ცხრილის მაგივრად შედგენილ უნდა იქნას ერთი და საგადასახადო შეღავათები მინიჭებულ უნდა იქნას ოჯახის შემოსავლის მთელი ჯამის მიხედვით; შემდეგ გადასახადები განაწილებულ უნდა იქნას მთელ სამიწათმოქმედო მოსახლეობას შორის ისე, რომ ის შემსუბუქებულ იქნას მცირე შეძლების მეურნეობათათვის, გადიდებულ იქნას განსაკუთრებით შეძლებულთათვის და სრულებით გათავისუფლებულ იქნან ღარიბები.

ჩვენ გეგმის მიხედვით გვაქვს სამი ცხრილი: ერთი რსფსრ-სთვის, მეორე—ბელორუსიის, ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპუბლიკებისა და უკრაინისთვის, მესამე—უზბეკისტანის, თურქმენისტანისა და ყირგიზეთისთვის.

გეგმის განხილვის დროს სახალხო კომისართა საბჭოში, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები მოითხოვდენ, რათა უკრაინაში შემოსავალი გამოანგარიშებულიყო ოჯახზე არა მჭამელის მიხედვით. სახალხო კომისართა საბჭო დაეთანხმა უკრაინელების ამ წინადადებას, რომელიც გატარებულ იქნება მიმდინარე წელში, როგორც ცდა.

ღარიბ მეურნეობათა ჯგუფი, რომლებსაც აქვს შემოსავალი 25 მანეთამდი წლიურად მჭამელისაგან, აღწევს ხუთ მილიონ გლეხის ოჯახამდი და შეადგენს მთელი საბჭოთა კავშირის გლეხთა ოჯახების 20 პროცენტს. მეურნეობის ეს ჯგუფი სრულიად თავისუფალი იქნება გადასახადისაგან.

მცირე შეძლების საშუალო მეურნეობათა ჯგუფი, რომელიც შეადგენს საშუალოდ მთელი საბჭოთა კავშირის გლეხთა ოჯახების 45 პროცენტს, გადაიხდის ოჯახიდან 6 მანეთსა და 70 კაპიკს.

მიმდინარე წელში გადასახადის საერთო ჯამი, ყოველგვარ განარიცხს გარდა, დახლოებით შეადგენს 300 მილიონ მანეთს; მასთან შეტანილია წინადადება გადარიცხულ იქნას სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან ორი მესამედი და გადაეცეს ის ადგილობრივ ბიუჯეტს. ეს თანხა, რომელიც უნდა გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტს, უდრის 200 მილიონ მანეთს (აქედან 40 პროცენტი უნდა შევიდეს საოლქო ბიუჯეტში).

# საჰაერო ძიება

საჰაერო ძიებას, როგორც საომარ საშუალებას ძველ დროსაც მიმართავდენ ხოლმე. ავიო-ძიებას დიდი ხნის წარსული არ აქვს, ვინაიდან თვით ჰაეროპლანების გამოგონების და გამტკიცების შემდეგ ბევრი ხანი არ გასულა. საჰაერო ძიება ორი სახისაა: საჰაერო თვალთვალი და ავიო-ძიება.

საფრანგეთში ძმათა მონგოლიფეებმა 1873 წ. გამოიგონეს საჰაერო ბუშტი „აეროსტატი“, რომელიც ბევრ ხანს ჩერდებოდა ჰაერში. იმ დროის სამხედრო პირებმა ეს გარემოება შეაფასეს—სამხედრო საქმის თვალსაზრისით.

ამიტომ საჰაერო ბუშტი გამოიყენეს ძიების სამსახურისთვის. პირველად მსოფლიოში საჰაერო ძიება—აეროსტატიდან ბრძოლის ველის თვალთვალისათვის გამოყენებული იქნა საფრანგეთის მფრინავი კუტილემის მიერ 1794 წ. ბრძოლაში ციხე მობეჟში; აქედან ჩაეყარა საფუძველი საჰაერო თვალთვალს და დღემდის ის დიდ როლს თამაშობს.

ასეთი ბუშტი ფოლადის ბაგირის საშუალებით მიმაგრებულია მიწაზე სათანადოთ გაკეთებულ სიმაგრეზე და ამართულია მაღლა ჰაერში, სადაც ჰაეროსტატის კალათში ზის მოთვალთვალე, რომელსაც მიწასთან აქვს კავშირი ელსმენით, მისი დადებითი მხარე არის ის, რომ შეუძლია შორი მანძილის ფართე მიმოხილვა და უძრაობის გამო განუწყვეტლივი მუშაობა; მაგრამ მას უარყოფითი მხარეც აქვს: არ შეუძლია უშუალოდ გადასვლა სხვა და სხვა ადგილას, წარმოადგენს დიდ მიზანს მტრისთვის და სხვა.

მიუხედავათ ამისა მას მაინც მოაქვს დიდი სარგებლობა ახლო ძიების დროს.

ძიება ჰაეროპლანებით დაიწყო ჩქარა მისი გამოგონებიდან და განსაკუთრებით განვითარდა 1914—1918 წ. წ. მსოფლიო ომში. ჰაეროპლანი მოკლე დროში გადიფრენს დიდ მანძილს, რომლის დროს დაწვრილებით შეუძლია დაზვეროს მტრის ზურგი და დაბრუნდეს ჩქარა საჭირო ცნობებით.

ჰაეროპლანის უარყოფითი მხარე ძიების დროს ისაა, რომ ფრენის დროს არ შეუძლია დიდხანს ერთ ადგილას გაჩერება, რაც არ აძლევს განუწყვეტელი ძიების წარმოების საშუალებას. საერთოდ საჰაერო ძიების სუსტი მხარეები ისაა, რომ ღამე, წვიმასა და ქარბუქში არ შეუძლია თითქმის ფრენა, აგრეთვე ტყეებში, მოსახლეობიან წერტებში და სხვაგან სწორ ცნობებს ვერ მოკრებს; არ შეუძლია განუწყვეტლივი ძიება აწარმოოს; ზემოაღნიშნულიდან სჩანს, რომ საჰაერო ძიებას არ შეუძლია მთლიანად შესცვალოს მიწიერთ ძიება, მხოლოდ მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს და დაეხმაროს მიწიერ ძიებას.

ძიებისთვის დანიშნულ ჰაეროპლანებში არის ფოტოგრაფიული აპარატი, რომლის საშუალებით ნათლად შეიძლება ადგილმდებარეობის გადაღება.

ამიტომ საჰაერო ძიება შეუცვლელი საშუალებაა მტრის ზურგისა და მისი სიმაგრეების დაზვერვის საქმეში.

ჯ. ქუთელია.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## 1 მესანგრე ასეულის კ. კ. ჯგუფის მუშაობა.

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულში არსებობს კ. კ. ჯგუფი. ჯგუფმა გეგმიური მუშაობა დაიწყო 1926 წლის 1-ლ იანვრიდან. კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან კარგადაა მოწყობილი. ხშირად იმართება გაერთიანებული კრებები. არსებობს ურთიერთ წარმომადგენლობა. ჯგუფი მათ შორის აწარმოებს მუშაობას გასამხედროების საქმეში. ამ მიზნით ჯგუფმა მოაწყო მათ ლენინის კუთხეში სამხედრო განყოფილება. დაშლილია ერთი შაშხანა წარწერებით; კუთხე მორთულია პლაკატებით. გამოყოფილია კ. კ. მეთაური, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს სამხედრო განყოფილებაში მეცადინეობას.

კუთხეს აძლევს წიგნები ასეულის სამკითხველოდან. აგრეთვე კ. კ. ჯგუფს აქვს შეფობა აღებული ორპირის თემის კ. კ. უჯრედზე, სადაც აგრეთვე სწარმოებს მეცადინეობა. ასეულში არსებობს საკავშირო სკოლა, რომელიც ამ მოკლე ხანში დაამთავრებს პროგრამას. პროგრამის გარდა კომისიონური მეთოდით სწარმოებს მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების დამუშავება. ამასთან ერთად ჯგუფს დაარსებული აქვს „ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის“ შემსწავლელთა წრე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ჯგუფურად. კ. კ. ჯგუფის მიერ ორი თვის განმავლობაში მიღებული არის 14 ახალი წევრი.

ლენინის კუთხეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კომკავშირლები. მათი ინიციატივით ლენკუთხეში მოწყობილია რემედასის განყოფილება, სადაც სისტემატიურად ტარდება საუბრები.

საერთოდ კ. კ. წევრები დიდის ხალისით ეკიდებიან მუშაობას, რითაც მომავალში ჩვენ გვეყოლება ნამდვილი კადრი მომუშავეებისა.

სამხკორი ტკვრისპირელი.

## 1 ლეგიონის 5 ასეული.

ჩვენი უჯრედის მორიგ კრებას დაესწრო უჯრედის წევრები და სამხ. პოლიტსკოლიდან მომაგრებული ამხანაგები. დღის წესრიგში იდგა: მოხსენება არმიის მე 4-ე და დივიზიის მე-5-ე პარტკონფერენციის შედეგებზე და მოხსენება ტყავტრესტთან მიმაგრებულ ამხანაგისა.

პირველ საკითხის ირგვლივ ითქვა, თუ რა მუშაობა ჩაატარეს კონფერენციებმა, რას მიაქციეს ყურადღება. აგრეთვე დამსწრენი გაეცნენ პარტკონფერენციების რეზოლიუციებს. მოხსენებამ გამოიწვია მრავალი შეკითხვა.

ტყავტრესტთან მიმაგრებულ ამხანაგის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. დამსწრეებმა მისცეს მრავალი შეკითხვა, გამოსარკვევად მუშების ცხოვრების და მუშაობის.

სამხკორი ა. ლომია.

## ჩვენი საკავშირო სკოლა.

ცალკე მესანგრე ასეულის კომკავშირმა ამ ორი თვის წინათ ჩამოაყალიბა საკავშირო სკოლა. მეცადინეობა სკოლაში სწარმოებს სისტემატიურად და ამხანაგებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სწავლების საქმეში. ყველა წევრს რიგ-რიგობით ევალება მოხსენებების გაკეთება სხვა და სხვა თემებზე. მოხსენების ირგვლივ ყოველთვის იმართება კამათი; კამათში თითქმის ყველა წევრი ღებულობს მონაწილეობას, რაიც მაჩვენებელია ამხანაგების დაინტერესების. ეს გარემოება გვშველის ყველას საკითხის დამუშავებაში და შეთვისებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ სკოლა მოუტანს ჩვენი კომკავშირის წევრებს დიდ სარგებლობას გათვითცნობიერების საქმეში.

სამხკორი მ. გალბახიანი.

---

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

---

# საძოვრები

მიმდინარე წელში ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში საძოვრებს დათმობილი აქვს 12.000 დესეტინა მიწა.

საძოვრები გაცემულია იჯარით წარსულ წლის პირობებში. საბალახო სეზონი იწყება 1-ლი მაისიდან.

# ახალი ხელშეკრულება გერმანიასთან

რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ, რომელიც დადებულ იქნა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის და აწესრიგებდა წესიერ სავაჭრო ურთიერთობას, დიდ საფრთხეთ გადაიქცა დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებისათვის. ეს ხელშეკრულება გაგებულ იქნა ისე, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი თავის გავლენის ქვეშ აყენებდა განახლებულ ოსმალეთთან ერთად, ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებს.

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები მიმართავდენ სხვა და სხვა საშვალებებს, რომ როგორმე საბჭოთა კავშირის გავლენისაგან ჩამოეშორებიათ, როგორც ოსმალეთი, ისე გერმანია. პირველის ცდა მოხდა ჟენევის კონფერენციაზე, რაც უშედეგოთ დამთავრდა, მეორეს კი—ლოკარნოს სამშვიდობო ხელშეკრულების დროს, რაც გულისხმობდა: გერმანიის ერთა ლიგაში შეყვანას. მართალია, გერმანია ამ ხელშეკრულების ძალით გახდა ერთა ლიგის წევრი, მაგრამ მან ვერ მიიღო ერთა ლიგის სამდივნოში მუდმივი ადგილი, და ამის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდო შემოდგომისათვის, ამან კი შექმნა ერთა-ლიგის კრიზისი.

გერმანიას იმედი გაუცრუვდა და მას ცოტა შანსები აქვს იმისა, რომ ის მიიღებს მუდმივ ადგილს სამდივნოში და ამიტომ განიზრახა ახალი ხელშეკრულება დასდოს საბჭოთა კავშირთან, რომ ამით შექმნას ისეთი განწყობილება და ძალთა წონასწორობა, რომელიც ხელსაყრელი იქნება მისთვის ერთა ლიგის მომავალი სხდომისათვის.

გერმანიამ თავის მიზანს მიაღწია, მან შეაშფოთა მართველი წრეები, დააფრთხო საზოგადოებრივი აზრი, აახმაურა გაზეთები.

„ტაიმსი“ აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ, ახალი ხელშეკრულების დასადებათ. გაზ. „ტაიმსი“ ჰფიქრობს აგრეთვე, რომ ხელშეკრულება მიზნათ ისახავს რაპალოს ხელშეკრულების გაფართოებას და მის შეთანხმებას ლოკარნოს სამშვიდობო ხელშეკრულებასთან.

აღშფოთებულია ამ მოლაპარაკებით ინგლის-საფრანგეთის გაზეთები. საჭირო იყო ამ გაუგებრობის გაფანტვა. ამიტომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, აცხადებს: „ის, ვინც ჰფიქრობს, რომ გერმანიის და საბჭოთა კავშირის შორის მოლაპარაკება არის უარყოფა ლოკარნოს ხელშეკრულების, ის ცდება. ლოკარნოს ხელშეკრულების მიზანია, უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა ევროპაში და არ იყოს ის მიმართული, რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ფიქრობდა, რომ ის იყო მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ამის წინააღმდეგ ისევე განაცხადა პროტესტი გერმანიამ, როგორც განაცხადა ბრიანმა, ჩემბერლენმა და ვანდერველდემ. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან დაიდება და ის იქნება ბუნებრივი დამატება ლოკარნოს ხელშეკრულების და სახელმძღვანელო იდეა გერმანის საგარეო პოლიტიკის“.

ასეთი სწორი განმარტება მისცა შტრეზემანმა იმ მომავალ ხელშეკრულებას, რომელიც მოსალოდნელია დაიდოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი ხელშეკრულება ნაკარნახევია გერმანიის რეალური ინტერესებით და ის ფაქტი გახდება როგორც არ უნდა აღშფოთდეს საბჭოთა კავშირის ფარული თუ აშკარა მტრები.

თ. გ.

# სამხედრო ქრონიკა

## საზაფხულო ტანსაცმელები ნაწილებისათვის

დასრულდა საზაფხულო ტანსაცმელის კერვა. კ. წ. დ. არმიის მომარაგების სამმართველო აწყობს ტანსაცმელების ნაწილებში გადაგზავნის საქმეს იმ ანგარიშით, რათა პირველ მაისისთვის ტანისამოსი ხელზე იქნას დარიგებული.

ტანსაცმელის ფორმა ძველებურად რჩება.

## ახალი კარვები

საბანაკო შეკრებისთვის განზრახულია ნაწილების მომარაგება კარვებით ბანაკად გამსვლელთა რაოდენობისდა მიხედვით. კარვების 30 პროცენტი ახალი იქნება. მაგრამ ცენტრიდან მათი მიღება რამოდენიმედ ფერხდება; ამიტომ კარვები დაეგზავნება ნაწილებს ბანაკად გასვლის შემდეგ.

## როდის დარიგდება მაისის ჯამაგირი

სამხედრო მსახურთა მაისის ჯამაგირი მიეცემა ნაწილებს იმ ანგარიშით, რათა ბანაკად გამავალ ნაწილებმა მიიღონ ხელზე 25 აპრილისთვის. უმაღლესი სასწავლებლები ღებულობენ ამჟამად.

დანარჩენ ნაწილებისა და დაწესებულების შესახებ საკითხი შეთანხმებული იქნება ფინანსთა სახალხო კომისართან.

## კრედიტები გახსნილია

კრედიტები სამეურნეო ფონდისა და სხვა ხარჯებისთვის მიღებულია ცენტრიდან.

სამხედრო სამეურნეო განყოფილება აწარმოებს მათ განაწილებას იმ ანგარიშით, რათა ნაწილებმა თავიანთი კუთვნილი თანხები მიიღონ ბანაკად გასვლამდი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვემზადებით საზაფხულო ცხოვრებისათვის

მე-2 ლეგ. მე-9 ასეული.

ხსენებული ასეული ლეგიონის მიერ გაგზავნილი იქნა ბანაკის მოწყობისათვის წინასწარი მუშაობის საწარმოებლად. დანიშნულ ადგილზე მისვლისთანავე ასეულის მთელი შემადგენლობა ენერგიულად შეუდგა დავალებული საქმის შესრულებას. არც ერთი ამხანაგი არ იჩენს გულგრილობას მუშაობაში. ყველას კარგად აქვთ წარმოდგენილი თუ რა მოვალეობა აწევთ და როგორ არის ლეგიონი დაყრდნობილი ჩვენზე. მუშაობა ბანაკის მოსაწყობათ გაცხოველებულად მიმდინარეობს. ვზიდებით აგურებს, ვასწორებთ ნიადაგს, გაგვყავს სახელდახელო გზები და მრავალი სხვა. რამოდენიმე დღის შემდეგ უკვე მზად გვექნება ბანაკი.

სამხკორი ილ. პატაშ—ური.

## ჩვენი საქმიანობა

1-ლი ლეგ. მე-5 ასეული.

ასეულის საერთო კრებაზე ავირჩიეთ ავიაქიმის უჯრედის გამგეობა. ჯერ-ჯერობით უჯრედს ჰყავს 40 წევრი. ამხანაგები დაინტერესებულნი არიან ავიაქიმის მნიშვნელობით და მუშაობით. იმედია წევრთა რიცხვი გაიზრდება.

ჩვენი ცნობათა ბიურო მუშაობს დამაკმაყოფილებლად. წითელარმიელნიც მადლიერნი არიან მისი მოქმედებით, ვინაიდან ბიურო ხელს უწყობს მათ გაერკვიონ სხვა და სხვა საკითხებში.

სამხკორი ა. ლომია.

## ვეცნობით ერთმანეთს

მე-4 ლეგიონი.

მე-8 ასეულის ყოფა-ცხოვრება.

ასეულის მეთაურთა შემადგენლობა თანახმად ლეგ. მეთაურისადმი ბრძანებისა, გამოვემგზავრეთ ასეულის წერტილიდან ათასეულის წერტზედ 14 აპრილს მეთაურთა სასემინარო შეკრებისათვის. 15 აპრილიდან უკვე შევუდექით მეცადინეობას, რომელიც ენერგიულად მიმდინარეობს. სემინარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ ვიძენთ ახალ ცოდნას და ვეცნობით ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა ერთმანეთს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენი ახალი მეთაურებისათვის, ვინაიდან ისინი არ იყვენ გაცნობილი კარგათ ჩვენი ათასეულის მეთაურებზედ ცალ-ცალკე წერტებზედ ყოფნის გამო. ამ მხრივ შეკრება აუცილებლად ამართლებს მიზანს. ამას გარდა აქ ვარჩევთ ყველა იმ საკითხებს, რომლებიც შეგვხვედრია პრაქტიკული მუშაობის დროს და ვერ გადაგვიჭრია ადგილობრივ. აქ მათ ვარჩევთ ერთმანეთის დახმარებით და აზრის გაცვლა-გამოცვლით.

სამხკორი კალმის წვერი.

## ახალწვეულების მომზადება.

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს მაზრის ფარგლებში ახალწვეულთა მოსამზადებელი კამპანია. კამპანიის ჩასატარებლათ ყველა თემებში გაიმართება გლეხთა კრილობები, სადაც მოხსენებებით გამოვლენ სამხედრო მაგიდების გამგეები და მისცემენ დამსწრეებს ახსნა-განმარტებას თუ რა წესით იწარმოებს 1904 წელში დაბადებულთა გაწვევა, ან რა შეღავათები ექნებათ ახალწვეულებს და სხვა.

გარდა ამისა მაზრაში არსებულ სამხედრო კუთხეებში დაარსდებიან ახალწვეულთა წრეები. წრეების მიზანია მისცენ ახალწვეულებს საერთო მომზადება-განვითარება.

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გამოიყოს სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ჯარში გასაწვევ მოქალაქეთათვის შეღავათების მინიჭების საქმეს და გამოსცემს არსებულ წესებს შეღავათების შესახებ, რომლებიც გაკრულ იქნება თემებში გამოსაჩენ ადგილებზე.

სამაზრო აღმასკომის კომისიას ამასთანავე ევალება გამოარკვიოს თუ გასაწვევებში ვის ეკუთვნის შეღავათი და შემდეგ ამის შესახებ წარადგინოს ცნობები სამაზრო საბჭოში.

## მოხსენება რემედასის მუშაობაზე

1-ლი მესანგრე ასეული

14 აპრილს შესდგა ასეულის რემედასის უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება უჯრედის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა თუ რამდენად იზრდებოდა ამ სამი თვის განმავლობაში რემედასის უჯრედის წევრთა რიცხვი. ხაზი გაუსვა ჩატარებული მუშაობის უმთავრეს მუხლებს და შემდეგ გამოსთქვა აზრი უჯრედის წევრების ბირთვებათ დანაწილების შესახებ. ბირთვებში ცალ-ცალკე უნდა ტარდებოდეს საუბრები ამ ორგანიზაციების მნიშვნელობაზე და ფართოდ ეცნობოდეს წითელ არმიელებს მისი მიზნები.

გაგვაცნო აგრეთვე უჯრედის მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

უჯრედს მიზნად ჰქონია დასახული რემედასის კუთხის კიდევ უფრო გაუმჯობესება და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.

მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

სამხკორი მ. ქელბაქიანი.

## ჩვენი ნაწილების ლენკუთხეებში.

### წითელ არმიელები დიდ ენერგიულობას იჩენენ

2-ე მესანგრე ასეულის ლენინის კუთხე და სამკითხველო ძლიერ პატარა ოთახშია მოთავსებული, რაც ხელს უშლის ფართო მასიური მუშაობის წარმოებას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის მაინც საკმაოდ ცოცხლად გამოიყურება.

ყოველდღე ვღებულობთ სხვა და სხვა ახალ-ახალ გაზეთებს. კუთხეში ყოველდღე ინიშნებიან მორიგეებათ აქტიური წითელ არმიელები და ატარებენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე. ასეულის წითელ არმიელების დიდი უმრავლესობა ჩათრეულია სკოლის გარეშე მუშაობაში. კუთხეში შამოღებულია კითხვა-პასუხის რვეულები; ჩაწერილ კითხვებზე სისტემატიურად ეძლევათ პასუხი წითელ არმიელებს. წაკითხულისა და მოსმენილი საუბრების წით. არმიელებისაგან შეთვისების გამორკვევა ხდება კითხვა პასუხის საღამოების ჩატარებით. ამ საღამოებს მთელი ასეულის შემადგენლობა ესწრება და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. გაცილებით უფრო ნაყოფიერად იწარმოებს კუთხეში მუშაობა, თუ შევსძელით და ვიშოვეთ უფრო სრული შენობა.

ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ხელმძღვანელებისაგან.

სამხკორი შუძი.

## დანიშნულებას ამართლებს

3-ე ლეგ. ბატარეიაში ლენინის კუთხის მუშაობა ამ უკანასკნელად საგრძნობლად გამოცოცხლდა. წითელ არმიელთა შემადგენლობის მთელი ასი პროც. არის ჩაბმული მის მუშაობაში. ხშირად იმართება კუთხეში პოლიტლატარეია. კარგად მოპასუხე წითელ არმიელებს ურიგდებათ საჩუქრები—რვეულები, ფანქრები, ქაღალდი, კალმის ტარები და სხვა.

ლენკუთხეში მრავლად მოიპოვება ლიტერატურა, რომელსაც ყველანი კითხულობენ. მეცადინეობის შემდეგ წითელ არმიელები აქ იყრიან თავს და კითხულობენ, ემზადებიან საღამოზე საუბრების ჩასატარებლად.

სამხკორი მხედარი.

## ჩავატარეთ კვირეული

მე-2 ლეგიონი

ლეგიონის ყაზარმის გარშემო მდებარე თხრილების გასაწმენდათ ჩატარებული იქნა კვირეული, ვინაიდან მალარიის საშიშროება კარზე გვედგა და შესაძლებელი იყო წითელ არმიელების დაავადება ამ სნეულებით. დილის 9 საათზე გამოვიდა ლეგიონის მუსიკა და დაუკრა ყველა ასეულების თავშესაყარი ნიშანი. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ყველა თავის ადგილზე გაჩნდენ და შეუდექით მუშაობის წარმოებას.

არხები რამოდენიმე საათის განმავლობაში გავსწმინდეთ. მეთაურები ჩვენთან ერთად იღებდენ მონაწილეობას ამ მუშაობაში, რაც წითელ არმიელებს კიდევ უფრო ახალისებდა და აქეზებდა მუშაობაზე.

წ. არმ. გენ—ლი.

## სამხედრო მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს

ცხენოსანი ლეგიონის სკოლა

სკოლაში სისტემატიურად მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ამ ხანათ ცხენოსნობის შესწავლას. ხშირად იმართება ვარჯიში ჯირითში, ბარიერებზე ხტომაში და სხვა. ასევე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს სხვა დარგებშიდაც.

კურსანტები დიდ აქტიობას იჩენენ. ბანაკად გასვლას შესაფერად მომზადებული შეხვდება სკოლა. სულ მოკლე ხანში ესკადრონებს დაუბრუნდებიან სათანადოთ მომზადებული უმცროსი მეთაურები.

სამხკორი პ. კახიძე

## ყურადღება უნდა მიექცეს

მე-2 ლეგიონის სამკითხველო

ლეგიონის სამკითხველო მეტად ღარიბია წიგნებით. არ მოიპოვება ბევრი ისეთი წიგნები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. ხშირად, როდესაც გვიხდება რაიმე თემების დამუშავება, მივდივართ სამკითხველოში საჭირო მასალებზე, მაგრამ იქ ვერაფერს ვნახულობთ. საჭიროა სამკითხველოში მოხდებოდეს წიგნების შერჩევა. გამოუსადეგარი წიგნების ნაცვლად უნდა შეიძინონ საჭირო ლიტერატურა.

მოგვეცით ისეთი წიგნები რაც არ გვაქვს და აუცილებელი კი არის.

სამხკორი ვ. ლ.

**სამხკორო! ემზადე მომავალ თათბირისათვის.**

# ფელიეტონი

(სამხკორთა წერილებიდან)

## აქა ამბავი ქინაქინისა.

— ამხანაგო ექიმო, კარგათ გამშინჯეთ თქვენი ჭირიმე, მგონი ციებ-ცხელებითა ვარ დაავადებული.—მიმართავს 1-ლი საარტილერიო ლეგიონის წითელ არმიელი ექიმს.

— მართალსა ბრძანებთ, თქვენი ორგანიზმი შეპყრობილია ამ სენით და აი ამიტომ ინებეთ ქინაქინა (აძლევს ფხვნილს, კოხტათ შეხვეულს სუფთა ქაღალდში) დღეში უნდა მიიღოთ სამი ფხვნილი.

უეჭველია წითელ არმიელს 1-ლ საარტილერიო ლეგიონიდან სურს განიკურნოს ციებ-ცხელებიდან, იღებს ქინაქინას და მიდის . . . ფეხისალაგისაკენ. იმის მაგივრად, რომ გააღოს პირი და ჩაუშვას სტომაქში ქინაქინა, იგი გზავნის ქინაქინას იქითკენ, სადაც „სიბინძურე განისვენებს“. ამასთანავე იგი სრულიად დარწმუნებულია, რომ ამ „ოპერაციის“ შემდეგ განიკურნება ციებ-ცხელებისაგან.

ამბობენ, რომ 1-ლ საარტ. ლეგ. ფეხისადგილი ქინაქინის საწყობად არის გადაქცეული და ვინც არის შეპყრობილი მალარიით მის ორგანიზმში ისევ განაგრძობენ თარეშს მალარიის ბაცილებიო.

„თუმცა მალარიის წამალი ქინაქინაა და სხვა წამალი გარეშე ამისა არ არსებობს; მაგრამ რა იყო მის გამომგონს ტკბილი ქინაქინა გამოეგონა, რა დააკლდებოდა იმ დალოცვილის შვილს“—ასე ამბობენ 1-ლ საარტ. ლეგიონის მალარიით შეპყრობილნი.

## წითელ არმიელი ერმილე გაგუა

„არ გათეთრდება ყორანი,<br>
რაც გინდა ხეხო ქვიშითა“.

სწორედ ზედ გამოჭრილია ეს სიტყვები ერმილე გაგუაზე.

რამდენიც გინდა ეჩიჩინე, რამდენიც გინდა დაარიგე ჭკუა, ის მაინც თავისას გაიძახის.

— ამხანაგო, სახაზინო ქონებას უნდა გაუფრთხილდე, ეს ქონება შენი ქონებაა.

— ფეხებზე მკიდია სახაზინო ქონება. სახაზინო სხვაა—ჩემი სხვაა.

აი, ერმილე გაგუას ფილოსოფია.

მერე ლაპარაკი . . . ნეტა ყური დაუგდოთ მის ლაპარაკს. ვინ ასწავლა, ან სად ისწავლა ასეთი ლაპარაკი.

„შენ რა ჩემი ფეხების კაცი ხარ—მიმართავს ერმილე სამხედრო ჰოსპიტალის სანიტარს—წითელ არმიელს—მამა შენიც დაიკვეხებს, შვილი მყავს წითელ არმიაშიო, ჩემი განავლის გატანას უნდები მთელი დღე“—აი ერთი ნიმუში მისი ლაპარაკის.

ეხ, ერმილე, ერმილე! არ გამოგადგება ასეთი ქცევა.

ყური დაუგდე რჩევა-დარიგებას, თორემ მერე გვიან იქნება.

ე. ხ.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

### დაგვიარსეთ წრეები.

მე-2 ლეგიონის 2 ათასეულში არ არის ჩამოყალიბებული არც ერთი წრე, არც სხვა რაიმე გასართობებია ათასეულში, როგორც მაგალითად კინო და თეატრი. საინტერესოა რად არ აქცევენ ამ გარემოებას ჩვენი ხელმძღვანელები ყურადღებას. თუ სხვა ნაწილებში არის ჩამოყალიბებული თვით განვითარების წრეები, ჩვენ რა დავაშავეთ? მოგვეცით იმის საშვალება, რომ სოფლის გლეხობას სინამდვილეში დაუმტკიცოთ, თუ როგორ ზრდის წითელი ყაზარმა მათ შვილებს.

სამხკორი ჯარეიშვილი

### მოაწესრიგეთ ეს საქმე.

მეექვსე ლეგიონის წითელ არმიელები ერთ უხერხულობაში ვდგებით როდესაც აბანოში მივყევართ: 60 კაცამდე ერთბაშად შეგვყრიან აბანოში, მიუხედავად იმასა, რომ წყალი არ გვყოფნის, რის გამოც ერთი აურ-ზაურია ხოლმე აბანოში. ვსთხოვთ უფროსებს, რომ გაგვყონ შუაზე და ისე შეგვიშვან, მაგრამ ნებას არ გვაძლევენ. თუ უნდათ დროს ეკონომია, სულ ერთია კიდევ უფრო მეტი იკარგება, რადგან რიგში გვიხდება შიგ დგომა და აურზაურსაც ბევრი დრო მიაქვს. ვერც ვსუფთავდებით როგორც საჭიროა. დროა მოგვცენ საშვალება, რომ წესიერად ვიბანაოთ.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

### ხელს გვიშლიან.

1-ლი ლეგიონის მუსიკალური, საკავშირო და მზვერავი გუნდები მოთავსებული ვართ ერთ შენობაში. მუსიკალური გუნდი სწორედ იმ დროს დაიწყებს საკრავ ინსტრუმენტებზე მეცადინეობას, როდესაც საკავშიროსა და მზვერავთა გუნდში პოლიტსაათი მიმდინარეობს. წითელ არმიელები ყურადღებით ვეღარ უსმენენ ამის გამო საუბრებს და ტყვილა იკარგება შრომა. დროა ვისგანაც ჯერ არს სათანადო ზომები მიიღოს ამის წინაალმდეგ.

წ. არმ. ა. უ.

## მოწერილი წერილებიდან.

15 აპრილს, ქ. ქუთაისში მდგომ ნაწილების ... ვის მოეწყო ქალაქის თეატრში სანიტარული ხასიათის საღამო. პირველად წაკითხული იქნა მოხსენება ვენერიულ სნეულებათა შესახებ, რომელშიდაც დაწვრილებით გააშუქა ექიმმა თუ რა უბედურება მოაქვთ მათ ადამიანისათვის და დასასრულ მოუწოდა წითელ არმიელებს ერიდონ ამ სნეულებებს. შემდეგ გაშვებული იქნა სათანადო შინაარსის პიესა. კერძოთ პიესა გამოხატავდა სიფილისის ნიადაგზე წარმომდგარ უბედურებას. პიესამ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

სამხკორი ივანოვი.

მე-3 ლეგიონში ამ უკანასკნელ ხნებამდე არ გვქონდა სასადილო, რაც ერთგვარ უწესრიგობას ქმნიდა სადილობის დროს წითელ არმიელებში. უკანასკნელად ლეგიონის ხელმძღვანელების მიერ მიღებული იქნა ამ მხრივ ზომები და კიდევაც შესძლეს სასადილოს მოწყობა. სასადილო ძლიერ სუფთაა. წესრიგი დაცულია ზედმიწევნით. თითეული წითელი არმიელისათვის არის ცალკე ჭურჭელი და სხვა. წითელ არმიელები კარგად იცავენ წესრიგს სადილობის დროს.

წ- არმ. პაიჭაძე.

ცხენოსან ლეგიონში კლუბის გამგე უკანასკნელად ხშირად გვიწყობს კინო სურათების ჩვენებას, რომელსაც გარეშე პირებიც ესწრებიან. წითელ არმიელებში ეს მოვლენა დიდ კმაყოფილებას იწვევს. კარგი იქნება მხოლოდ ხშირად გვაჩვენებდენ ქართული ცხოვრებიდან აღებულ სურათებს. რუსული სურათებისათვის კი წარწერების სათარგმნათ საჭიროა დაინიშნოს ერთი ამხანაგი.

სამხკორი პ. კახიძე.

მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში ხშირად იმართება კინო სურათების ჩვენება, მაგრამ უფრო ხშირად რუსული და სკოლის წითელ არმიელები ვერაფერს ვგებულობთ, ვზივართ ტყვილა და უცქერით სურათებს. არ გვესმის შინაარსი კლუბის გამგემ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს გარემოება და დანიშნოს ერთი მთარგმნელი.

მე-5 ლეგ. 2 ასეულის წითელ არმიელებს ამ ჟამად გზა გაუხსნეს ადგილობრივ კლუბში. გაზ. „წითელ არმიელში“ მოთავსებულმა ცნობამ კლუბის უფროსის საქციელის შესახებ გასჭრა. ადგილობრივ ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია მას და წითელ არმიელებს ნება დაგვრთო კლუბში სიარულზე. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სხვა ნაკლულოვანებების გამოსწორებასაც ასეულში.

წ. არმ. ა ც.

## უცხოეთის არმიებში

### ას თერთმეტი გენერალი.

ერთ-ერთ მუშათა გაზეთში, ჩეხოსლოვაკელი მუშკორი შემდეგს სწერს:

დიდ აურზაურს იწვევს ამჟამად პარლამენტში ჯარისკაცის სამსახურის ვადის შემოკლების შესახებ ატეხილი დავა. 1920 წელში მიღებულ კანონის ძალით სამსახურის ვადა თანდათან უნდა შემცირებულიყო. 1923 წელს დაკანონებული იქნა სამსახურის ვადათ წელიწად ნახევარი, ხოლო ამჟამად უნდათ შეამცირონ ის 14 თვემდე.

ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, ჩეხოსლავიის თავდაცვის მინისტრმა ქალაქ პრაგაში (ჩეხოსლავიის სატახტო ქალაქია) მოიწვია უფროს სამხედრო მეთაურების თათბირი. რესპუბლიკის ყოველი მხრიდან მოიყარეს თავი თავდაცვის მინისტრთან გენერლებმა. თათბირით გამოწვეულმა ხარჯების რაოდენობამ მიაღწია 500.000 ჩეხურ კრონამდე. (ჩვენებური ფულით 31,250 მან.)

გენერლები დათანხმდენ, რომ სამსახურის ვადის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით — გადიდებული იქნეს ოფიცერთა რიცხვი არმიაში.

ინტერეს მოკლებული არ იქნება აქ ზოგიერთი ციფრების მოყვანა 1921 წელში ჩეხოსლოვაკიის არმიაში ითვლებოდა 65 გენერალი, ხოლო 1925 წელში კი — 111. შტაბის ოფიცრების რიცხვი 1921 წლიდან 1925 წლამდე გაიზარდა 2903—4973-მდე. უმცროს ოფიცერთა რიცხვი ამავე ხნის განმავლობაში გაიზარდა 5545-დან 8133 მდე. რიგის ჯარის კაცები 1925 წელში იყო 6300, ხოლო შეთაურთა შემადგენლობა კი — 57114 (10629 ოფიცერი, 11210 „სერჟანტი“, 2500 ვადის ზევით მსახური უნტერ ოფიცრები და 33400 კიდევ ვადით მსახური უნტერ ოფიცრები.

ამნაირად ჩეხო-სლოვაკიის არმიაში ერთ ჯარის კაცზე თითქმის ერთი მეთაური მოდის.

### უსინათლობის გამო ვერ ვმეცადინეობთ.

მე-6 ლეგიონის 1-ლ ასეულში არ არის განათება საღამოობით, მთელი დრო ტყვილა იკარგება ამის გამო, ვერაფერში ვერ ვმეცადინეობთ, მოცლილი მხოლოდ საღამოობით ვართ. ლენკუთხეში ალარავითარი მუშაობა არ სწარმოებს. საინტერესოა რად არ აქცევს ყურადღებას ლეგიონის კომენდანტი ამ მოვლენას? ან სანამ უნდა ვიყვეთ სიბნელეში?

წ. არმ. ნ. მარშანიშვილი.

## ამბები სოფლებიდან.

წერა კითხვის სწავლა. გორის მაზრაში ახლო ხანში დაიწყება ლიკპუნქტების მსმენელ გლეხთა გამოშვება.

თელავის აღმასკომმა დაადგინა მისცეს დახმარება დაღუპულ მილიციელთა ოჯახებს.

წყაროს გაყვანა. დოესის (გორ. მ.) სათემო აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს სოფელში წყალსადენი.

## სასოფლო სამეურნეო მანქანები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან გამოიწერა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და ხელსაწყოები. აგრეთვე გამოწერილია ბაღ-ვენახების საწამლო მასალები (გოგირდი, შაბიამანი და სხვა).

პირველ რიგში მიღებული იქნება ასი ათასი ცალი ავსტრიული ცელი, 800 ათასი ფუთი შაბიამანი და 60 ათასი ფ. გოგირდი.

გამოწერილია აგრეთვე 4 მილიონი მეტრი ამერიკული ლერწი, 20 ათასი ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა და სხვ.

გარდა ამისა სხვა და სხვა ქვეყნებში დაკვეთილია სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილები.

გამოწერილი იარაღების ერთი ნაწილი უკვე მიღებულია.

## ახალი ამბები.

— ბინების აგება ტფილისში. საბინაო კოოპერაცია წელს ტფილისში ააგებს 110 ახალ ბინას.

— ნავთი. უკანასკნელი თვის განმავლობაში ბათომიდან სტამბოლში გატანილ იქნა 155 ათასი ფუთი ნავთი.

— განათლების კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს აგარაკზე მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

— ქართული მარგანეცი. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში საზღვარ გარეთ გაიზიდა 250 ათასი ტონა მარგანეცი.

— ტყეების გადაცემა. დღემდე მთელ საქართველოში გადაცემულია გლეხებზე 150 ათასი დესეტინა ტყე.

— ახალი საზოგადოება. საქართველოს ქალაქებში ეწყობა საზოგადოებრივი სოციალური დახმარების საზოგადოებები.

— ქინა-ქინის ქარხანა. სახ. მედ. ვაჭრობამ დაადგინა ტფილისში მოაწყოს ქინა-ქინის დასამზადებელი ქარხანა.

— ქარხნის ამუშავება. ქუთაისში უკვე ამუშავდა დღემდე შეჩერებული მაუდის ქარხანა.

## ბიბლიოგრაფია

**რ. მუკლევიჩი: პოლიტ-მუშაობა საბრძოლო გარემოებაში. თარგმანი ტ. შელიასი. ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის გამოცემა.**

ამხ. მუკლევიჩის წიგნი პოლიტ-მუშაობის შესახებ სწორედ იმ საკითხებს არკვევს, რომელიც უეჭველად უნდა იცოდეს წითელმა მებრძოლმა. ამისთვის ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოშვება, მით უმეტეს ჩვენი ჯარის შემადგენლობასთან შედარებით, სადაც დიდი ნაწილი ქართველებია, რასაკვირველია მიზან-შეწონილად უნდა ჩაითვალოს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი პოლიტმუშაობის მიზანია მეომრის ბრძოლის უნარიანობის აწევა, რომელიც უნდა სწარმოებდეს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რა ხნის განმავლობაშიც მებრძოლი იმყოფება წითელ ყაზარმაში. ამ წიგნის მეორე თავში მოთხრობილია ჩვენ ჯარში პოლიტიკური მუშაობა, რომელიც მას არსებითად ანსხვავებს სხვა ჯარებისაგან იმპერიალისტურ ქვეყნებში. როგორც ავტორი ამბობს, თვითეულმა მებრძოლმა უნდა იცოდეს თუ რისთვის იბრძვის და ვინ არის დამნაშავე იმის გამოწვევაში.

წიგნის მესამე თავში მოთხრობილია მტრის ჯარებს შორის პოლიტმუშაობის შესახებ, ამ მუშაობის პრინციპები და ხერხები.

მეოთხე თავში მოთხრობილია პოლიტმუშაობა ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ეს თავი საყურადღებოა მით, რომ აქ გარკვეულია ის საკითხი, რომ ომის დროს ჩვენ გვექნება საქმე არა მარტო პირდაპირ მტერთან, არამედ იმ მოსახლეობასთან, რომლის ტერიტორიის ფარგლებში სწარმოებს სამხედრო ოპერაცია.

შემდეგ თავებში მოთხრობილია პოლიტმუშაობა შეტევის დროს, პოლიტ-აპარატი, პოლიტ-მუშაობა მტრის ჯარებს შორის, პოლიტ-მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობას შორის და დაბოლოს შეტევა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება თარგმანს, რასაკვირველია თარგმანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ჩვენი სამხედრო ტერმინოლოგიის საერთო დაუმუშავებლობას უნდა მიეწეროს. ყოველ შემთხვევაში ამ თარგმანით ჩვენ წითელ ჯარს მოემატა ერთი მეტად საჭირო სახელმძღვანელო.

— ლია.

## პასუხი შეკითხვებზე

— თავართქილაძეს. აგვისტოში ან სექტემბერში.

— მასვე. გეკუთვნით ორი კვირის ჯამაგირი. ადგილი გენახებათ.

— საკეციესპირელს. არ შეუძლია, თუ სასჯელის ხასიათი აქონდა თქვენს განწესებაში გაგზავნას.

— სიმართლეს. უკანონოა. მიმართედ პატაკით ლეგიონის სამხკომს.

— შუბლაძეს. არ ჩაგეთვლებათ, ვინაიდან თქვენ ორი წელიწადი არ გიმსახურიათ.

— თბილისელს. მიმართედ თქვენს ნაწილის ექიმს და ის მოგცემთ მოწმობას.

— პ. ნ. ჯამაგირი გეკუთვნით შტატის მიხედვით.

— ათმეთაურს. ლოგინი თქვენს საკუთრებას არ შეადგენს.

— ზანგს. სავალდებულოა.

— ბურკაძეს. მხოლოდ თუ ნაწილში გაქვთ ჩაბარებული, მაშინ უნდა იმსახუროდ სამი წელიწადი.

— ბერსენაძეს. გვაცნობეთ რომელ წელში ხართ დაბადებული.

— ეზიკს. სამსახური არ გენახებათ.

— ნიკოლაიშვილს. მიმართედ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას და წარუდგინეთ ყველა საჭირო საბუთები.

— ხახუტაშვილს. შემოდგომაზე.

— გაბედავას. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა წითელ არმიელის რჩენაზე მყოფნი მცირე წლოვანი ოჯახის წევრები სწავლის ფულიდან თავისუფლდებიან.

## პასუხი სამხკორებს

ჩაგელიშვილს. (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია: „ბრძანება ასრულება უნდა“ — ჩვენი გაზეთისათვის არ გამოდგება. ასეთი მასალები, რომლებსაც უფრო შინაურული ხასიათი აქვთ, უნდა მიაწოდოთ კედლის გაზეთის სარედკოლეგიას.

გურულს. (2 ლეგ. სკოლა) თქვენი წერილი — „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. ქება არ არის საჭირო. წითელი ჯარის რიგებში მყოფი ამხანაგი ყოველთვის ენერგიულად უნდა ეკიდებოდეს თავის მოვალეობას. მოიწერეთ წერილები უფრო ნაწილის ცხოვრებაზე მიღწევებზე და სხვა.

ბოჭორიშვილს. არც თქვენი წერილი დაიბეჭდება. აქაც ქებაა.

საკეციეს პირელს. (2 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ქაშევარის“ შესახებ მეტად უმნიშვნელოა ჩვენთვის. ეს ადგილობრივი ხასიათის საკითხია, რომელიც შეიძლება გაშუქებული იქნეს კედლის გაზეთში.

პაქსაშვილს. (3 ლეგ.) და სამხკორ რ—ძე-ს (1-ლი ლეგ.) — კორესპონდენციები: „ზოგიერთი მეთაურების საყურადღებოთ“ და „დროა ასეთი მეთაურის გამოსწორება“ გადაეგზავნა სათანადო ნაწილების სამხედრო კომისრებს, რომლებიც ადგილობრივ გამოარკვევენ საქმეს და მიიღებენ შესაფერ ზომებს.

მებრძოლს. (2 ლეგიონი) წერილი „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ არ დაიბეჭდება. თქვენ წერილში აღნიშნულ მოვლენის წინააღმდეგ ჩვენი გაზეთი ჩაატარებს სპეციალურად კამპანიას და გასწევს სათანადო პროპაგანდას.

წ. არმ. ს. პ. ა-ს (3 ლეგ.) წერილი დისციპლინაზე არ დაიბეჭდება. საერთო ფრაზებია. დისციპლინის მნიშვნელობაზე კი ნუ მოიწერებით, არამედ აღნიშნეთ კონკრეტიულად თუ სად, რა პირობებში ხდება მისი დარღვევა და ვინ არღვევს. მხოლოდ მაშინ არ იქნება კორესპონდენცია ინტერეს მოკლებული.

კახიძეს. (ცხე. ლეგ.) წერილი პარტიულ ცხოვრებაზე არ გავა. ასეთს იყო. საერთოდ ეცადე თქვენს წერილებში პარტიულ ცხოვრების შესახებ — აღნიშნოთ კონკრეტიულად თუ რა კეთდება კრებებზე და როგორ ღონისძიებებს ღებულობთ ამა თუ იმ საკითხის პრაქტიკულად ცხოვრებაში გასატარებლად.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მისაღებად შემდეგ ამხანაგებს:

1) აბაზაძე მიხეილ ივანეს-ძეს (ოცეულის მეთაური უპარტიო) თხოულობს კომპარტიის კანდ. მიღებას, 2) ბერიძე ვლადიმერ მაქსიმეს-ძეს, (ოცეულის მეთაური) თხოულობს კომ-პარტიის კანდ. მიღებას. 3) ჯაიანი ალექსანდრე ილიას-ძეს (ოცეულის მეთაური უპარტიო) თხოულობს კომ-პარტიის კანდ. მიღებას. 4) ჯავახიშვილი ვლადიმერ გიორგის-ძეს (ათეულის მეთაური კომ-პარტიის კანდ. 1925 წ.) თხოულობს კომ-პარტიის წევრად დამტკიცებას. 5) ნიკოლეიშვილი გიორგი ალექსის-ძეს (ოცეულის მეთაური კომ-პარტიის კანდ. 1925 წ.) თხოულობს კომ-პარტიის წევრად დამტკიცებას. 6) როსნაძე პლატონ ერასტის-ძეს (გლეხი ათეულის მეთაური კომ-პარტიის კანდ. 1925 წ.) თხოულობს კომ-პარტიის წევრად დამტკიცებას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ზემო—ნაჩვენებ ამხანაგებზე პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით მე-6 ლეგ. ბიურო კოლექტივში.

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-2-რე კომუჯრედის პრეზიდიუმში აქვთ შემოტანილი განცხადება პარტკანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ჭოხონელიძე გიორგი სპირიდონისძეს (ახალ. ლ. ს. კ. კავშირის წევრი 1923 წ.), 2) მანასოვი პეტრე კარაპეტისძეს (ახალ. ლ. ს. კ. კავშირის წევრი 1923 წ.) 3) პერკინი ნიკოლოზ ვლადიმირის-ძეს, 4) კაკაბაძე ივანე პორფილეს-ძეს (ახლ. ლ. ს. კ. კავშირის წევრი 1920 წ.), 5) ხუსკივაძე ვასილი ილარიონის-ძეს (ახ. ლ. ს. კ. კავშირის წევრი 1922 წ.).

თუ ვინმემ რაიმე იცით მათზე უარყოფითი, გთხოვთ გვაცნობოთ არა უგვიანეს 5 მაისისა ზემო აღნიშნულ უჯრედის პრეზიდიუმში.

პრეზიდიუმი.

ნ. დ. ს. ც.
სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ. № 3.
დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ზ. ადამაძე.